

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**  
**საბაკალავრო პროგრამა**

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** სახვითი ხელოვნება / Fine Art

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სახვითი ხელოვნების ბაკალავრი / BA in Fine Art

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 ESTC კრედიტი. საბაკალავრო 240 ESTC კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 50 ESTC კრედიტი ეთმობა საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს. 120 ESTC კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის. 60 ESTC კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ESTC კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისათვის.

ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 75 ESTC კრედიტი სპეციალობის ძირითადი კურსებისთვის, 35 ESTC კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის, 10 ESTC კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის

**სწავლების ენა:** ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

პროგრამა მიზნად ისახვს სახვითი ხელოვნების სფეროში პრაქტიკოსი-სპეციალისტის აღზრდას, რომელსაც შეძენილი აქვს მხატვრისთვის აუცილებელი ფუნდამენტური ჩვევები, ოსტატობა და ჰუმანიტარული განათლება.

თანამედროვე მხატვარს ასეთ პირობას ხელოვნებისადმი საზოგადოების მოთხოვნა უყენებს. მხატვრის(ოსტატის) ჩამოყალიბების პროცესი ძირითადად ინდივიდუალურ-პრაქტიკული ხასიათისაა და დაოსტატების რეჟიმის საწყისი ეტაპი ხშირ შემთხვევაში ემყარება აპრობირებულ სქემას "ოსტატი - შეგირდი", მაგრამ თანამედროვე მხატვრობის ამოცანები ამ სქემის გარკვეული ცალმხრივობისა და შეზღუდულობის გადალახვას მოითხოვს. სწორედ აქედან გამომდინარეობს პროგრამის მიზანი - სტუდენტმა უნდა შეიძინოს ცოდნა და კვალიფიკაცია, რომელიც საკუთარი ინდივიდუალური შემოქმედებით საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის გამოადგება. ამ მიზნისათვის კურსდამთავრებულის დარგობრივი კომპეტენცია და უნარ-ჩვევები დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში, მხატვრულ კომპოზიციურ აზროვნებაში გამდიდრებული იქნება ფუნდამენტური განათლებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ამავე დროს პროგრამის მიზანია მომავალ სპეციალისტს შეუქმნას ფართო დიაპაზონის ბაზა არჩევანისათვის სახვითი ხელოვნების სახეობებში და კარგი ფუნდამენტი მაგისტრატურის დონეზე სწავლების გასაგრძელებლად. ამ მიზანს ემსახურება ხატვისა და ფერწერის აკადემიური პრინციპების ძირ-ფესვიანი შესწავლა სავალდებულო საგანთა ბლოკში და მისი სინთეზი კომპოზიციის არჩევით საგნებთან, რაც მხატვრული ხედვისა და აზროვნების ჩამოყალიბებისა და გასწავლებისთვის არის მოწოდებული.

პროგრამით გათვალისწინებული კომპლექსური სწავლება სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების შესაბამის, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ არის ორიენტირებული. ეს ყველაფერი აუცილებელია კონკურენტუნარიანი პროფესიული

კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ-ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისათვის.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ერთიანი ეროვნული გამოცდები

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

1. კურსდამთავრებულს აქვს სახვითი ხელოვნებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგების განვითარების ისტორიის ზოგადი ცოდნა. სახვითი ხელოვნების ძირითადი, ტრადიციული დარგების (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურა) და გამოყენებითი ხელოვნების დარგების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ამოცანების და სტილისტიკის გარჩევის უნარი.
2. კურსდამთავრებული კარგად იცნობს დაზგური მხატვრობისთვის საჭირო მრავალფეროვან მასალას, აღჭურვილობას, მისი სწორად გამოყენების მეთოდებს.
3. კურსდამთავრებულს შეძენილი აქვს სახვითი ხელოვნებისთვის ფუნდამენტური ცოდნა ფერის, ფორმის, ჩრდილისა და განათების, სივრცისა და სასურათე სიბრტყის

ურთიერთდამოკიდებულების, მხატვრული იდეის და თემატიკის შემოქმედების საბოლოო პროდუქტთან დაკავშირების შესახებ.

4. კურსდამთავრებული ესმის და აცნობიერებს სახვით ხელოვნებაში და დიზაინში კომპოზიციური აზროვნების მნიშვნელობას; აქვს მხატვრული კომპოზიციის სხვა და სხვა დარგში და მასალაში სტილისტური და მიზნობრივი დატვირთვის გათვალისწინებით გამოყენების ცოდნა.
5. კურსდამთავრებულს აქვს სახვითი ხელოვნების სფეროს ფართო ცოდნა, კომპოზიციური აზროვნების საფუძველზე დაზგური მხატვრობის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.
6. კურსდამთავრებულს ესმის ზოგადად მხატვრობის სპეციფიკა და ამ სფეროში შეფასების კრიტერიუმების არაერთგვაროვნება – აცნობიერებს, რომ როგორც ხელოვნების ნიმუშის, ასევე მხატვრული და დიზაინერული იდეის ხორცშესხმას, კონკრეტულ ამოცანასა და ჩანაფიქრს უნდა ესადაგებოდეს სახეთა პლასტიკა – მხატვრული ფორმის სტრუქტურა.
7. ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები.
8. საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში.
9. აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები.
10. რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით).
11. ძირითადი ენათმეცნიერული თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები.
12. ინგლისური ენა საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე; არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპული ენა მინიმუმ A2 დონეზე.
13. ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის საბაზისო კურსი (არჩევით)

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

პრაქტიკული უნარების გამომუშავება პროგრამისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს და საგნების უმრავლესობა ამ ამოცანას ემსახურება.

1. კურსდამთავრებულს აქვს დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში, აგრეთვე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ესკიზებზე სამუშაოდ საჭირო მასალების, ინსტრუმენტებისა და დამხმარე ინვენტარის პრაქტიკაში სწორად და ოპტიმალურად გამოყენების უნარ-ჩვევები.
2. კურსდამთავრებული სრულყოფილად ფლობს აკადემიური ხატვის ტექნიკას და ხერხებს შეუძლია ნებისმიერი სირთულის მოდელის სწორი კონსტრუქციული გადმოტანა სასურათე სიბრტყეზე და მისი შემდგომი შუქ-ჩრდილული დამუშავება.
3. სკურსდამთავრებული ფლობს ზეთის ფერწერის, აკვარელის, ტემპერისა და გუაშის ტექნიკას. მას შეუძლია ამ სახეობის საღებავების მრავალფეროვანი შესაძლებლობების გამოყენება დაზგურ და მონუმენტურ ფერწერაში (სასურათე სიბრტყის მასალისა და დანიშნულების მიხედვით მათი სწორად შერჩევიდან ტექნიკური და სტილისტური ნიუანსების შეჯერებამდე) და გრაფიკაში, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ესკიზების შესაქმნელად.
4. კურსდამთავრებულს შეუძლია **ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება მხატვრული პრობლემების** გადასაწყვეტად - სხვა და სხვა სამხატვრო ტექნიკის სინთეზისა ან მათი სამუშაოს შესრულების ეტაპების მიხედვით მონაცვლეობის მეშვეობით შექმნას მხატვრული პროდუქცია და შეასრულოს გაფორმებითი ხასიათის მხატვრული სამუშაო.
5. კურსდამთავრებული დაუფლებულია ნატურიდან ხატვის ფუნდამენტურ ცოდნას, უნარ-ჩვევებს და რთულ ტექნიკას. იცნობს სქემატური აგებისა და შუქ-ჩრდილური დამუშავების რთულ პრინციებს ხატვაში; შეუძლია ადამიანის სხეულის პლასტიკის სასწავლო ნახატის ტექნიკით სასურათე სიბრტყეზე გადმოცემა, შეუძლია დეტალურად დამუშავებული, მოცულობითი ხასიათის ნახატის გამთლიანებულ სახემდე მიყვანა.
6. კურსდამთავრებული დაუფლებულია ნატურიდან ფერში მუშაობის ფუნდამენტურ ცოდნას, უნარ-ჩვევებს და რთულ ტექნიკას. იცნობს ტონალურ-ფერადობრივი დამუშავების რთულ პრინციებს; შეუძლია ფერწერული ტექნიკით ნამუშევრის დეტალურად დამუშავება, კოლორისტულად გამთლიანებულ სახემდე მიყვანა.
7. ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება.
8. ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება /არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა.

5

9. საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა **ინგლისურ ენაზე**.

ერთ-ერთი სხვა ევროპული ენის (არჩევის შემთხვევაში) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.

10. ერთ-ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.

11. ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და ანალიზი.

12. ძირითადი ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად.

**დასკვნის უნარი**

1. კურსდამთავრებულს აქვს სახვითი ხელოვნების სფეროში შეფასების კრიტერიუმების არაერთგვაროვნების გაცნობიერებაზე დაყრდნობით, როგორც ხელოვნების ნიმუშის, ასევე მხატვრული იდეის, კონკრეტული ამოცანის და გარემოსთვის მისადაგების შეფასებისას საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზის უნარი.

2. კურსდამთავრებულს აქვს სახელოვნებო სფეროში ინფორმაციის, მონაცემების შეგროვება და განმარტება - მხატვრული ანალიზის, დასკვნების გამოტანისა უნარი.

3. კურსდამთავრებულს აქვს დასკვნების გამოტანისა და მათი იმპლემენტაციის უნარი სახვითი ხელოვნების მომიჯნავე დარგთა სფეროში, მათში პლასტიკური საწყისის გამოვლენის მიზნით.

4. კურსდამთავრებული კარგად ერკვევა პლასტიკური ფორმის სტილურობში, რაც ცდათა და შეცდომათა მეთოდის ნაყოფია და დასკვნის უნარს ეფუძნება, პროდუქტიული დასკვნა აქ მხოლოდ გარკვეული სინთეზის შედეგად აღმოცნდება.

5. კურსდამთავრებულს აქვს მხატვრობაში სტილიზაციისადმი ინდივიდუალური, შემოქმედებითი მიდგომის უნარი, რაც სახვითი ხელოვნების სფეროში შემოქმედებითი აქტიურობის აუცილებელი პირობაა.

### **კომუნიკაციის უნარი**

1. სახვით ხელოვნებაში კომპოზიციური და დარგობრივი, სტილისტური თუ ტექნოლოგიური იდეების და პრობლემების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის

6

მომზადებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე ზეპირად გადაცემის უნარი.

### **სწავლის უნარი**

1. შეუძლია სწავლების პროცესის დაგეგმვა, სახვითი ხელოვნების სფეროში ფუნდამენტური ცოდნის ბაზაზე შედარებით ვიწრო დარგობრივ-შემოქმედებითი ინტერესების განსაზღვრა.

2. სწავლის და პრაქტიკული მუშაობის სტრატეგიისა და დროის ორგანიზება სწავლების პერიოდში ბუნებრივად შექმნილი უნარია, რადგან მხატვრობის შესწავლა პროგრამის მიხედვით შედგება არაერთგვაროვანი მეთოდიკისგან (თეორიული ცოდნის მიღება, სახელოვნებო ტექნიკისა და უნარ-ჩვევების განვითარება, მხატვრულ-კომპოზიციური აზროვნება) და ხარისხიანი მხატვრული პროდუქტის მიღებაც მხოლოდ სწორად გაწერილი ციკლების შესრულების შედეგად შეიძლება.

### **ღირებულებები**

1. კურსდამთავრებულს შეუძლია თანამედროვე სახელოვნებო სივრცეში მაღალმხატვრული, გემოვნებაზე და კომპოზიციურ აზროვნებაზე, დარგობრივი და სტილისტური ამოცანების ცოდნაზე დაფუძნებული ღირებულებების ფორმირებაში მონაწილეობა და სწრაფვა მათი დამკვიდრებისათვის.

2. კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების შესაბამის, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებები.

### **დასაქმების სფეროები:**

პროგრამაში გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის საგნები ისეთი თანმიმდევრობით და ურთიერთშეფარდებით არის სტრუქტურირებული, რომ კურსდამთავრებული მხატვრის მუშაობის სფეროებისთვის კარგად იქნება მომზადებული. პირველ რიგში ეს არის ინდივიდუალურ-შემოქმედებითი სფერო; ამავე დროს იგი თავისი

შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას შეძლებს საზოგადოებრივ და ბიზნეს სექტორში: მასმედიაში, კულტურულ დაწესებულებაში, წარმოებაში, ყველგან სადაც ვიზუალური ფაქტორის ესთეტიზაცია და დახვეწა- ჩამოყალიბებაა საჭირო.

7

სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს ექნება საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული ჩვევები

1) დაზგური მხატვრობის (ფერწერა, გრაფიკა) დარგებში ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობისთვის; 2) საგამომცემლო სფეროში; 3) ნებისმიერ სფეროში, სადაც პროდუქციის, ობიექტის და პერფორმანსის მხატვრული და დიზაინერული გაფორმება არის საჭირო.

### **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა იყენებს ლექციას, პრაქტიკულ მუშაობას, საშინაო დავალებას, შუალედურ შეფასებას, პრეზენტაციას, საბაკალავრო ნაშრომს, დასკვნით გამოცდას. სწავლების ფორმატში გამოყენებულია ვერბალური, წიგნზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დემონსტრირების ( ნამუშევრის შესრულების სხვა და სხვა ეტაპზე პედაგოგი პრაქტიკულად აჩვენებს სტუდენტს შესრულების ტექნიკურ ხერხებს), პრაქტიკული მეთოდები.

ამავე დროს მოქმედებს სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის მეთოდი, რომელიც სახვითი ხელოვნების სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია, ეს გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში - სემესტრულ ცხრილთან ერთად ქვეყნდება ინდივიდუალური კონსულტაციების ცხრილი.

### **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

შეფასების სისტემა ასქულიანია (საბოლოო გამოცდის ქულა არ აღემატება 40-ს)

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური

8

შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. საბოლოო შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას ( დამოუკიდებლად არის განსაზღვრული თითოეული საგნის სილაბუსში) ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

**პროგრამის ხელმძღვანელი:** ლევან სილაგამე, მხატვარი, თსუ ასოცირებული პროფესორი (cv იხ. დანართში #1 )

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ (გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა, ხარისხი):**

ოსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მხატვარი ლევან სილაგაძე (პროგრამის ხელმძღვანელი )

ასისტენტ პროფესორი, მხატვარი ვლადიმერ ასათიანი

მოწვეული პედაგოგები - მარინა ელიოზიშვილი, ლელა გელეიშვილი, თამარ ხარაბაძე, ლალი ლომთაძე, მაკა ახოზაძე, მარინა დიღმელაშვილი, მალხაზ კუხაშვილი, გრიგოლ კვატაშიძე, მიხეილ ჩხენკელი

**ბიოგრაფიული მონაცემები (CV) იხ დანართში #2**

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:**

**იხილე დანართი #3**

**პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:** საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილს წარმოადგენს. სწორედ საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

**დამატებითი (minor) პროგრამა: სახვითი ხელოვნება**

დამატებითი პროგრამა საკრედიტო მოცულობით შეადგენს ძირითადი პროგრამის ნახევარს - 60 კრედიტი (იხ. პროგრამის სტრუქტურა) და ბუნებრივია არ იძლევა საბაკალავრო დონით გათვალისწინებულ სრულ კვალიფიკაციას. მაგრამ მხატვრობის სპეციფიკის, ზოგადად სახვითი ხელოვნების სფეროს შემოქმედებითი, ინდივიდუალური ხასიათის გამო აქვს საკუთარი პრიორიტეტები, სერიოზული მნიშვნელობა და მისი გავლა სტუდენტისთვის მეტად შედეგიანი შეიძლება იყოს.

სახელოვნებო ჯგუფის სხვა სპეციალობების სტუდენტთათვის სახვითი ხელოვნების დამატებითი პროგრამა მათივე სპეციალობიდან გამომდინარე იძლევა უშუალო შედეგს. ხელოვნებათმცოდნეები პრაქტიკულ რეჟიმში ეზიარებიან სფეროს, რომლის შესწავლა მათი ამოცანაა, კინო-ტელე ხელოვნებაში მხატვრული ხედვა და აზროვნება რეჟისორის, ოპერატორის მუშაობის ერთ-ერთი მხარეა და მომავალ შემოქმედებით საქმიანობაში კინოხელოვანს მხატვრობაში თეორიულ-პრაქტიკული გამოცდილება ნამდვილად გამოადგება.

სავალდებულო საგნების ბლოკიდან სტუდენტი გაივლის ფუნდამენტურ ნაწილს სახვითი ხელოვნების საფუძვლების და აკადემიური ხატვისა და ფერწერის სახით, ფიგურატიული პლასტიციზმის რთული ეტაპის გამოკლებით; კომპოზიციის არჩევით საგნებთან ერთად შედეგად ჩამოუყალიბდება მხატვრული ხედვა და კომპოზიციური აზროვნება. ეს ყველაფერი მას მისცემს საშუალებას, სურვილის შემთხვევაში, გააგრძელოს ინდივიდუალურად მხატვრული ოსტატობის დახვეწა ან შემოქმედებითი

ტურის წარმატებით გავლის შემდეგ გააგრძელოს სწავლა სამაგისტრო პროგრამაზე, ან ინდივიდუალურად გახსნას საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი, იმუშაოს ფერწერაში და გრაფიკაში.









## სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ვიზუალური ხელოვნება

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: სახვითი ხელოვნება

სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: ლევან სილაგაძე

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

### პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები / მოდულები												
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი	ლექცია- პრაქტიკუმებისათვის მოსამზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მოსამზადება	დასკვნითი გამოცდის მოსამზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
	ენათმეცნიერების შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	აკადემიური წერა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	ფილოსოფიის შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	საქართველოს ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	





	(არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)											
ქართული ენა A1.1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა A1.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა A2.1	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა A2.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა B1.1	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა B1.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა B2.1	5	60	45	8	10	2	ქართული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა B2.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
<b>საფაკულტეტო არჩევითი კურსები (კლასიკური ან აღმოსავლური ენა) – 10 კრედიტი (ECTS)</b>												
ძველი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	10											
ძველი ბერძნული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ძველი ბერძნული ენა 2	5	60	45	8	10	2	ძველი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
ლათინური ენა(საფაკულტეტო)	10											
ლათინური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ლათინური ენა 2	5	60	45	8	10	2	ლათინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
არაბული ენა (საფაკულტეტო)	10											
არაბული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
არაბული ენა 2	5	60	45	8	10	2	არაბული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
სპარსული ენა (საფაკულტეტო)	10											
სპარსული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
სპარსული ენა 2	5	60	45	8	10	2	სპარსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
თურქული ენა(საფაკულტეტო)	10											
თურქული ენა1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
თურქული ენა2	5	60	45	8	10	2	თურქული ენა1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		

	<b>ებრაული ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ებრაული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ებრაული ენა 2	5	60	45	8	10	2	ებრაული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>იაპონური ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	იაპონური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	იაპონური ენა 2	5	60	45	8	10	2	იაპონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>ჩინური ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ჩინური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ჩინური ენა 2	5	60	45	8	10	2	ჩინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>ახალი სომხური ენა 1(საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ახალი სომხური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ახალი სომხური ენა 2	5	60	45	8	10	2	ახალი სომხური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
<b>საფაკულტეტო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS)</b>												
	შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ირმა რატიანი
	შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	შესავალი არქეოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ეთნოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი კულტურის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი კავკასიოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. ხაჩიძე, ა. ხარანაული
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		

	შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ამერიკისმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი პედაგოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
<b>სპეციალობის სავალდებულო კურსები – 85 კრედიტი (ECTS)</b>												
1.	მხატვრული კომპოზიციის საფუძვლები	5	15	45	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ლევან სილაგაძე ლალი ლომთაძე
2.	სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა)	5	15	45	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ლევან სილაგაძე გრიგოლ კვატაშიძე მიხეილ ჩხენკელი
3.	სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ფერწერა)	5	15	45	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლელა გელიშვილი თამარ ხარაბაძე მარინა ელიოზიშვილი
4.	აკადემიური ხატვა, I ეტაპი	5	15	45	45	8	9	3	სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა)	✓		ლევან სილაგაძე გრიგოლ კვატაშიძე მიხეილ ჩხენკელი
5.	აკადემიური ხატვა, II ეტაპი	5	15	45	45	8	9	3	აკადემიური ხატვა, I ეტაპი		✓	ლევან სილაგაძე გრიგოლ კვატაშიძე მიხეილ ჩხენკელი
6.	აკადემიური ფერწერა, I ეტაპი	5	15	45	45	8	9	3	სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა)	✓		ლელა გელიშვილი თამარ ხარაბაძე
7.	აკადემიური ფერწერა, II ეტაპი	5	15	45	45	8	9	3	აკადემიური ფერწერა, I ეტაპი		✓	ლელა გელიშვილი თამარ ხარაბაძე
8.	ხატვა- ფიგურატიული პლასტიკა I ეტაპი	5	30	30	45	8	9	3	აკადემიური ხატვა, II ეტაპი	✓		ვლადიმერ ასათიანი მიხეილ ჩხენკელი გრიგოლ კვატაშიძე
9.	ხატვა- ფიგურატიული პლასტიკა, II ეტაპი	5	30	30	45	8	9	3	ფიგურატიული პლასტიკა (ხატვა), I ეტაპი		✓	ვლადიმერ ასათიანი მიხეილ ჩხენკელი გრიგოლ კვატაშიძე
10.	ფერწერა- ფიგურატიული პლასტიკა, I ეტაპი	5	30	30	45	8	9	3	აკადემიური ფერწერა, II ეტაპი	✓		ვლადიმერ ასათიანი მარინა ელიოზიშვილი



11.	ფერწერა- ფიგურატიული პლასტიკა, II ეტაპი	5	30	30	45	8	9	3	ფიგურატიული პლასტიკა (ფერწერა) I ეტაპი	✓	ვლადიმერ ასათიანი მარინა ელიოზიშვილი
12.	ხატვა- ფიგურატიული პლასტიკის სტილიზაცია, I ეტაპი	5	30	30	45	8	9	3	აკადემიური ხატვა, II ეტაპი	✓	ვლადიმერ ასათიანი
13.	ხატვა-ფიგურატიული პლასტიკის სტილიზაცია, II ეტაპი	5	30	30	45	8	9	3	ფიგურატიული პლასტიკის სტილიზაცია (ხატვა), I ეტაპი	✓	ვლადიმერ ასათიანი
14.	ფერწერა- ფიგურატიული პლასტიკის სტილიზაცია I ეტაპი	5	30	30	45	8	9	3	აკადემიური ფერწერა, II ეტაპი	✓	ვლადიმერ ასათიანი მარინა ელიოზიშვილი
15.	ფერწერა- ფიგურატიული პლასტიკის სტილიზაცია II ეტაპი	5	30	30	45	8	9	3	ფიგურატიული პლასტიკის სტილიზაცია (ფერწერა I ეტაპი	✓	ვლადიმერ ასათიანი მარინა ელიოზიშვილი
	<b>საბაკალავრო ნაშრომი</b>	10									
<b>სპეციალობის არჩევითი კურსები – 35 კრედიტი (ECTS)</b>											
16	ფერწერული კომპოზიცია	5	15	45	45	8	9	3	სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ფერწერა)	✓	ლელა გელიშვილი
17	გრაფიკული კომპოზიცია	5	15	45	45	8	9	3	სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა)	✓	ლევან სილაგაძე ლალი ლომთაძე
18	მრავალფერეული კომპოზიცია, I ეტაპი	5	15	30	60	8	9	3	მხატვრული კომპოზიციის საფუძვლები	✓	ლევან სილაგაძე
19	მრავალფერეული კომპოზიცია, II ეტაპი	5	15	30	60	8	9	3	მრავალფერეული კომპოზიცია, I ეტაპი	✓	ლევან სილაგაძე
20	თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიციის ესკიზები	10	30	90	90	18	18	4	მხატვრული კომპოზიციის საფუძვლები	✓	ლევან სილაგაძე მალხაზ კუხაშვილი
21	თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია	10	30	90	90	18	18	4	თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიციის ესკიზები	✓	ლევან სილაგაძე მალხაზ კუხაშვილი
22	ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	მაკა ახოზაძე მარინა დიდელაშვილი
23	ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება	5	15	30	60	8	9	3	ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები	✓	მაკა ახოზაძე მარინა დიდელაშვილი

რეკომენდებული არჩევითი საგნები სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან												
თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS)												



პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა \_\_\_\_\_

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა \_\_\_\_\_

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა \_\_\_\_\_

თარიღი \_\_\_\_\_

ფაკულტეტის ბეჭედი